სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

№ 167 §21 15.10. 2020 წელი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რიგგარეშე შიდა საუნივერსიტეტო მობილობის პროცედურების წარმართვის შესახებ

2020-2021 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის დამატებით რიგგარეშე შიდა საუნივერსიტეტო მობილობის პროცედურების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

1. შიდა საუნივერსიტეტო მობილობა განხორციელდეს უმაღლესი განათლების საფეხურის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესახებ" მიხედვით და ამ მიზნით გამოყოფილი იქნას ვაკანტური ადგილები.

2. ვაკანტური ადგილების დაკავება მოხდეს კონკურსის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით, იმ პირობის დაცვით, რომ კონკურსანტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ჩაბარებული არჩევითი დისციპლინა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ ერთ-ერთ არჩევით დისციპლინას, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტებს მობილობის

უფლება წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებზე, რომელიც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ერთობლივ საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები", საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამაზე ,,ფარმაცია" და საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამაზე ,,გამოყენებითი დიზაინი" რიგგარეშე შიდა მობილობისთვის განისაზღვროს შემდეგი ვადები:

4. 4.1 რიგგარეშე შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის ვაკანტური ადგილების ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა -19 ოქტომბერი;

4.2 შიდა საუნივერსიტეტო მობილობისათვის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შიდა მობილობისათვის განცხადებების მიღება წარიმართოს 2020 წლის 20 და 21 ოქტომბერს, მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორში (ოთახი №1106) 10-დან 17-საათამდე.

4.3 მობილობის მსურველმა დადგენილი ფორმის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი, დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდითა და ხელმოწერით;
ბ) ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;
გ) ცნობა ფინანსური სამსახურიდან საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ფინანსური ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
დ) პირადობის მოწმობის ასლი.

4.4 დოქტორანტის გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან - 22-23 ოქტომბერი;

4.5შიდა მობილობის შედეგების ელექტრონულ ფოსტაზე გამოქვეყნება - 26 ოქტომბერი;

4.6 საგანმანათლებლო ერთეულის მიერ სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარება - 27 ოქტომბერი;

4.7 ხელშეკრულების გაფორმება საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველებთან - 28 ოქტომბერი;

4.8 საგანმანათლებლო ერთეულების მიერ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში შიდა მობილობის წესით გადასული სტუდენტების სიის წარდგენა - 29 ოქტომბერი.

5. კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს

წინამდებარე ბრძანებისა და შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რექტორი	პროფესორი როლანდი კოპალიანი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	ასოც. პროფესორი თეა კორძაძე
მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორის უფროსი	ასოც. პროფესორი მათე ხვედელიძე